ო ქ მ ი N3

ხობის მუნიციპალიტეტის მეექვსე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი **2025 წლის 26 დეკემბერი**

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 11

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 10

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. გოჩა ქაჯაია
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანთარია
4. მედეა თათარიშვილი
5. დოდო გაბუნია
6. ლევანი ლიპარტია
7. აკაკი მალანია
8. მიმოზა ლემონჯავა

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა გოჩა ქაჯაია – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2025 წლის 12 დეკემბრის N50-502534651 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N27 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N 28 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N 29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ;

- „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2025 წლის 15 დეკემბრის N50-502534944 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ლ. ლიპარტიას 2025 წლის 19 დეკემბრის N51-51253533 განცხადების განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ლ. ლიპარტიას 2025 წლის 19 დეკემბრის N51-51253534 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

5. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2025 წლის 19 დეკემბრის N50-502535374 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო

მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

6. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის რ. ზაქარაიას 2025 წლის 24 დეკემბრის N50-502535887 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის“ დამტკიცების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ *განკარგულების პროექტის შესახებ*;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

7. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის რ. ზაქარაიას 2025 წლის 24 დეკემბრის N50-5025358134 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

8. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ ბუკიას 2025 წლის 25 დეკემბრის N50-50253597 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

9. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2025 წლის 25 დეკემბრის N50-502535954 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2026 - 2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის“ თაობაზე).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2025 წლის 12 დეკემბრის N50-502534651 წერილის განხილვა:

- ,,ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N27 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;
- ,,ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N 28 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N 29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. გაბუნია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტები 1) „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N27 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", 2) ,,ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N28 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", 3) „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", 4) „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ", 5) „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ", 6) „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" და კომისიის დასკვნები წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 1) მერიის განმარტებით სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2025 წლის მუნიციპალურ პროგრამაში, წარმატებული სპორტსმენებისა და წარმატებული მწვრთნელების მატერიალური წახალისების მიზნით, ღონისძიებაზე „ხობის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა (ოლიმპიური, მსოფლიოს, ევროპის, საქართველოსა და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენების) და მწვრთნელთა დაჯილდოება" გათვალისწინებული იყო და სრულად გაიხარჯა 50 000 ლარი. ხობელი სპორტსმენების მიერ მიღწეული წარმატებული შედეგების გათვალისწინებით, დამატებით საჭირო გახდა 2875 ლარი, რამაც პროგრამის ბიუჯეტის ზრდა გამოიწვია და ჯამში შეადგინა 311 865 ლარი. ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის საფუძველზე, განხორციელდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში მიღწეული წარმატებებისთვის ხობელი სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალური წახალისება. ფულადი ჯილდო 65 სპორტსმენსა და 13 მწვრთნელზე გაიცა. მიღწეული წარმატებული შედეგების გათვალისწინებით, სულ დაჯილდოებისთვის გაიხარჯა 61 575 ლარი, მუნიციპალური პროგრამის ხარჯთაღრიცხვით ღონისძიების „ხობის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა (ოლიმპიური, მსოფლიოს, ევროპის,

საქართველოსა და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები) და მწვრთნელთა დაჯილდოება“ ბიუჯეტი შეადგენდა 50 000 ლარს, ზემო აღნიშნული საჭიროებიდან გამომდინარე პროგრამა გაიზარდა 11 575 ლარით და განისაზღვრა 61 575 ლარით. მუნიციპალური პროგრამის სპორტული ღონისძიებების სხვა ხარჯებსაც შეეხო ცვლილებები. კერძოდ: „ძალოსნობის ჯგუფის“- ხარჯი შემცირდა 2000 ლარით და განისაზღვრა 688 ლარით, რისი გათვალისწინებითაც „სპორტული ღონისძიებების ხარჯები“ განისაზღვრა - 168 832 ლარით. „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური შეჯიბრებების“ ხარჯი გაიზარდა 400 ლარით და განისაზღვრა 42 528 ლარით, ნაცვლად 42 178 ლარისა, შესაბამისად „სპორტული ღონისძიებები - გასვლითი ტურნირები (ასაკობრივი ჯგუფები)“ ბიუჯეტი გაიზარდა და განისაზღვრა - 42 578 ლარით. განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით პროგრამის ბიუჯეტს ჯამში დაემატა 9 975 ლარი და განისაზღვრა 348 799 ლარის ოდენობით. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი ,,ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N27 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. 2) მერიის განმარტებით ცვლილებები განხორციელდა პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების ბიუჯეტებში. კერძოდ: ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მიერ პროექტების წარმოდგენა, დაფინანსება/თანადაფინანსება განსაზღვრული იყო 12 000 ლარით, გამომდინარე იქედან, რომ წლის განმავლობაში არ შემოსულა ახალგაზრდული პროექტების დაფინასების თაობაზე არც ერთი განაცხადი, აღნიშნული მუხლიდან ამოღებულ იქნა 12000 ლარი და განისაზღვრა 0 ლარით; ასევე შემცირდა ღონისძიების „ევროპის დღის აღნიშვნა“ ბიუჯეტი 2150 ლარით; შემცირდა ღონისძიების „ახალგაზრდული საღამო“ ბიუჯეტი 2460 ლარით, ხოლო გაიზარდა ღონისძიების „12 აგვისტო-ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, ცოტნეობა და მედალოსანთა დაჯილდოება“ მუხლი 9935 ლარით და ჯამში განისაზღვრა 30 935 ლარით. ცვლილებების გათვალისწინებით პროგრამის ღონისძიებების ბიუჯეტი ჯამში განისაზღვრა 100 510 ლარით, რაც 6 675 ლარით ნაკლებია პროგრამით დამტკიცებულ ბიუჯეტზე. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი ,,ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N28 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; 3) მერიის განმარტებით ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლების საშუალო საფეხურის, 2024-2025

სასწავლო წლის, 65 წარმატებულ მოსწავლეს გადაეცა ფულადი ჯილდო. დაჯილდოვდა 57 ოქროს მედალოსანი 500-500 ლარით (ჯამში: 28 500 ლარი); 8 ვერცხლის მედალოსანი - 300-300 ლარით (ჯამში: 2 400 ლარი). სულ დაჯილდოებისთვის გაიხარჯა 30 900 ლარი, რამაც პროგრამის ხარჯთაღრიცხვის ბიუჯეტის ზრდა გამოიწვია. მუნიციპალური პროგრამის ხარჯთაღრიცხვით ღონისძიების „ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლების საშუალო საფეხურის წარმატებულ მოსწავლეთა - ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოება“ ბიუჯეტი შეადგენდა 20 000 ლარს; საჭიროებიდან გამომდინარე დაემატა 10 900 ლარი და განისაზღვრა 30 900 ლარის ოდენობით. მუნიციპალური პროგრამის სხვა ღონისძიებებშიც განხორციელდა ცვლილებები. კერძოდ: ღონისძიების „წარმატებულ სტუდენტთა წახალისება (ჯილდო)“ ბიუჯეტიდან 100% გრანტის მფლობელ 2 სტუდენტზე გაიცა 1000 ლარიანი ფულადი ჯილდო; ამ ღონისძიების ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა 5000 ლარი, შემცირდა 3000 ლარით და გადატანილ იქნა ამავე პროგრამის ღონისძიების „განათლების მოღვაწე პირის წახალისება (ჯილდო)“ ბიუჯეტში და განათლების სფეროში მოღვაწე 6 პირს, მათ შორის 3 ღვაწლმოსილ მასწავლებელსა და 3 სკოლამდელი განათლების წარმომადგენელს გადაეცა 1000 ლარიანი ერთჯერადი ფულადი ჯილდო ჯამში - 6000 ლარის ოდენობით. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; 4) მერიის განმარტებით მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2026 წლის მუნიციპალური პროგრამა, რომლითაც განსაზღვრულია პროგრამის ხარჯთაღრიცხვა, მოსარგებლე პირთა წრე და განმახორციელებელი სუბიექტები. პროგრამით განისაზღვრა: მსოფლიო, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონატებში მიღებულ შედეგებზე სპორტსმენების ერთჯერადი ფულადი პრემიის ზღვრული ოდენობა ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში; საქართველოს პირველობაზე, ჩემპიონატებზე, ტურნირებზე, რეგიონალურ და ადგილობრივ ღონისძიებებზე მონაწილე სპორტსმენების კვების დღიური ხარჯის ნორმები; სპორტული სასწავლო ჯგუფების კვირეული დატვირთვის ნორმატივი აკადემიურ საათებში; სპორტულ სასწავლო ჯგუფებში სწავლების ეტაპების მიხედვით მეცადინეობათა ნორმატივები. სპორტული ღონისძიებების ხარჯები ადგილობრივი და გასვლითი ტურნირებით სპორტული ჯგუფებისა და ა(ა)იპ-ების მიხედვით. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა მოიცავს: ა) წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება - 57 000 ლარი; ბ) სპორტული ღონისძიებების ხარჯები - 221 599.0 ლარი; გ) ადგილობრივი სპორტული ღონისძიებები - 61561.0 ლარი; დ) სასკოლო ლიგა - 2 700 ლარი; ე) სპორტული ღონისძიებები-გასვლითი

ტურნირები - 48 858.0 ლარი; ვ) ადგილობრივი სპორტული ღონისძიებები - (ასაკობრივი ჯგუფი და ქალთა გუნდი) - 18 503 ლარი. ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის ხარჯთაღრიცხვა ჯამში შეადგენს 410 221 ლარს. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტი ხელშეწყობისა და განვითარების 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ". 5) მერიის განმარტებით მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამა, რითაც განისაზღვრა ახალგაზრდული პროგრამის პრიორიტეტები, პრიორიტეტების მიზანი, ახალგაზრდული მიმართულების სამოქმედო გეგმა და ის ღონისძიებები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობასა და მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; დაიგეგმა კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები. ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 84 625 ლარს. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საქმიანობის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ"; 6) მერიის განმარტებით მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამა, რითაც განისაზღვრა ხობის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლების საშუალო საფეხურის წარმატებულ მოსწავლეებზე, წარმატებულ სტუდენტებზე და განათლების სფეროში მოღვაწე პირებზე გასაცემი ერთჯერადი ფულადი ჯილდო, ჯილდოს ოდენობა და გაცემის წესი. პროგრამით ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლების საშუალო საფეხურის წარმატებული მოსწავლეებზე - ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებზე, განსაზღვრულია ერთჯერადი ფულადი ჯილდო: ა) ოქროს მედალოსანი - 500 ლარი; ბ) ვერცხლის მედალოსანი - 300 ლარი. ჯამში წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (ჯილდო) ღონისძიების ხარჯთაღრიცხვა შეადგენს - 30 000 ლარს; წარმატებული სტუდენტები, რომლებიც 2026 წელს საუკეთესო შედეგებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნული გამოცდებს, მოიპოვებენ 100%-იან სახელმწიფო გრანტსა და ჩაირიცხებიან ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროგრამით განსაზღვრულია მატერიალური წახალისება (ერთჯერადი ფულადი ჯილდო 1000 ლარის ოდენობით). ჯამში ღონისძიების „წარმატებულ სტუდენტთა წახალისება (ჯილდო)" ხარჯთაღრიცხვა შეადგენს - 5 000 ლარს;

პროგრამით ასევე განისაზღვრა ხობის მუნიციპალიტეტის ღვაწლმოსილი განათლების სფეროს წარმომადგენელთა წახალისება. მასწავლებელთა ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით, განათლების სფეროში მოღვაწე პირი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს წარმატებული, დამსახურებული ან/და ღვაწლმოსილი

მუშაკი და საჯარო ან კერძო სკოლის წარმატებული, დამსახურებული ან/და ღვაწლმოსილი მასწავლებელი დაჯილდოვდება ერთჯერადი ფულადი ჯილდოთი - 1000 ლარის ოდენობით. განათლების სფეროში მოღვაწე პირის წახალისება (ჯილდო) ღონისძიების ხარჯთაღრიცხვა შეადგენს - 6 000 ლარს. საერთო ჯამში, ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 41 000 ლარს. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მერიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2025 წლის 15 დეკემბრის N50-502534944 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რომლის საფუძველზეც 2026 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 24659,9 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის საწყის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1590,8 ათასი ლარით (6,9 %-ით).

2026 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია: დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 16176,4 ათასი ლარით; 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 8,0 %-ით (1201,0 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით. ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 6900,0 ათას ლარს; 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი გაზრდილია 1,5 %-ით (100,0 ათასი ლარით).

2026 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია: გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 302,4 ათასი ლარამდე, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 302,4 ათასი ლარი; წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 24,5 ათასი ლარით.

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 680,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: პროცენტები 300,0 ათასი ლარი. რენტა 380,0 ათასი ლარი; 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით შემოსავლები საკუთრებიდან გაიზარდა 74,8 ათასი ლარით.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 141,1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლები 10,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 111,1 ათასი ლარი; შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 20,0 ათასი ლარი;

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 460,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 397,0 ათასი ლარი; შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 63,0 ათასი ლარი; **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 60,0 ათას ლარს; **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები.** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 24719,9 ათას ლარს (2025 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 1595,8 ათასი ლარით). პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია: ინფრასტრუქტურის განვითარება - 6731,2 ათასი ლარი; მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები) – 1285,8 ათასი ლარი; გარე განათება - 715,1 ათასი ლარი; წყლის სისტემის

რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 28,0 ათასი ლარი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია - 2967,1 ათასი ლარი. სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 502,1 ათასი ლარ; მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია - 396,1 ათასი ლარი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 100,0 ათასი ლარი; სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 107,0 ათასი ლარი; რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება - 600,0 ათასი ლარი; ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 30,0 ათასი ლარი; **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 1264,1 ათასი ლარი. განათლება - 3957,7 ათასი ლარი, მათ შორის. სკოლამდელი განათლება - 3857,7 ათასი ლარი;** 2025 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 650,4 ათასი ლარით (20,3 %), რაც ძირითადად გამოწვეულია პედაგოგების ხელფასების მატებით; საჯარო სკოლების დაფინანსება - 100,0 ათასი ლარი. აღნიშნულიდან 100,0 ათასი ლარი წარმოადგენს სოფლებში ქარიატა, ხეთა და სხვებში სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელებისა და მოსწავლეების ტრანსპორტირების ასიგნებას; **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 4155,6 ათასი ლარი მათ შორის: სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2055,6 ათასი ლარი;** პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული ჯგუფების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული ჯგუფების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს. ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრი" იფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული სექციები (ჭიდაობის, კრივის, რაგბის, ჭადრაკის, კარატესა და მკლავჭიდის). **კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 65,0 ათასი ლარი;** ამ კუთხით გამოყოფილი სახსრები განკუთვნილია ისტორიული ძეგლების მონიტორინგისათვის, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის. **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება - 58,0 ათასი ლარი;** პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ინიცირებული პროექტების თანადაფინანსება. **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 18,0 ათასი ლარი;** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხობის ხარების დედათა მონასტრისა და პირველი ხორგის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის ფინანსური მხარდაჭერა.

კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა - 1959,0 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს. ცენტრი ასევე ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან. აქ ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლა, კომპიუტერის შემსწავლელი ცენტრი და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1210,3 ათასი ლარი, მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 319,1 ათასი ლარი;** პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;.**ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა - 56,1 ათასი ლარი;** მუნიციპალიტეტი ახდენს იმ მცირერიცხოვანი სულადობის მქონე სოფლების ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, რომლებიც დარჩნენ სახელმწიფო პროგრამის გარეშე. **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა - 562,8 ათასი ლარი, გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:** ავადმყოფთა სოციალური დახმარება -305,0 ათასი ლარი; სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები) -6,0 ათასი ლარი; მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა, ჩერნობილით დაზარალებულთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 9,9 ათასი ლარი. მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი - 28,6 ათასი ლარი; უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება -140,0 ათასი ლარი; ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი - 50,0 ათასი ლარი; უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება - 23,3 ათასი ლარი. **უმწეოთა ერთჯერადი დახმარება - 85,5 ათასი ლარი; ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება - 30,0 ათასი ლარი; მოსახლეობის სოციალური და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა - 156,8 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამები:** არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების, კერძოდ: მარტოხელა (დაუძლურებულ) ხანდაზმულთა შინმოვლის თანადაფინანსება -25,0 ათასი ლარი; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი დახმარება (სტატუს მინიჭებულთა) – 7,5 ათასი ლარი; არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების, კერძოდ:

ძალადობის მსხვერპლ ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის თანადაფინანსება - 5,0 ათასი ლარი; უსახლკაროდ დარჩენილთათვის ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადი - 2,5 ათასი ლარი; სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა) ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას (არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში) – 10,8 ათასი ლარი. სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალების შეძენა - 80,0 ათასი ლარი; მგლისა და ტურას ამოღება ბუნებიდან -4,0 ათასი ლარი; მაწანწალა ძაღლების გაყვანა - 22,0 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისარებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ლ. ლიპარტიას 2025 წლის 19 დეკემბრის N51-51253533 განცხადების განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2026 წლის

ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ა. მალანიას მხრიდან დაისვა საკითხი, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარისა და კომისიის თავმჯდომარის საწვავის ლიმიტის გაზრდის თაობაზე, რაც მხარდაჭერილ იქნა კომისიის მხრიდან, აღნიშნულზე წერილობით ეცნობა მუნიციპალიტეტის მერიას, რაზეც დადებითი პასუხი იქნა მიღებული მერიის მხრიდანაც, გამომდინარე იქიდან რომ მოქმედ განკარგულებაში ლიმიტების შესახებ არაერთი ცვლილებაა შეტანილი კომისიის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება და ახლის მიღება, რომლის თანახმადაც საკრებულოს კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარეების ლიმიტი განისაზღვრება თვეში 150 ლიტრის ოდენობით ნაცვლად 100 ლიტრისა. განკარგულებით დამტკიცებული სხვა დანარჩენი ლიმიტები რჩება უცვლელი. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ლ. ლიპარტიას 2025 წლის 19 დეკემბრის N51-51253534 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც საკრებულოში დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგოები გათვლილია „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად, რაც შეადგენს 1600-ს, რაც იწვევს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების 10%-ით გაზრდას. ანალოგიურად, 10%-ით იზრდება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც წარმოდგენილი პროექტით საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა სტრუქტურულად და რაოდენობრივად უცვლელია. ცვლილება შეეხება მხოლოდ თანამდებობრივ სარგოებს. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

5. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2025 წლის 19 დეკემბრის N50-502535374 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, „შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში არსებული თანამდებობების/პოზიციების თანამდებობრივი სარგოები გამოითვლება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგოს საფუძველზე. „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 2026 წლისათვის დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 1600 ლარის ოდენობით, რაც იწვევს პოლიტიკური თანამდებობის პირთა

და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების 10%-ით გაზრდას. ანალოგიურად, 10%-ით იზრდება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება. აღნიშნულის გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. დადგენილების პროექტით ასევე გათვალისწინებულია ერთი საშტატო ერთეულის გადანაცვლება განყოფილებებს შორის. კერძოდ: ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში უქმდება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებას ემატება 1 საშტატო ერთეული პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობის სახით. წარმოდგენილი პროექტით მერიის საშტატო ნუსხა რაოდენობრივად უცვლელია. პროექტის მიღება გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე - 10%-ით იზრდება შრომის ანაზღაურების ოდენობა და ასევე მატულობს სახელფასო ფონდი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტისა და პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივ სარგოებს შორის სხვაობით - 480 ლარით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

6. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის რ. ზაქარაიას 2025 წლის 24 დეკემბრის N50-502535887 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის“ დამტკიცების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. გაბუნია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტები 1) „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის“ დამტკიცების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2)„ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 3) „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნები წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 1) ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 56040 ლარის ოდენობით. 2) მერიის განმარტებით „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის“ ღონისძიებებში წინა წელთან შედარებით განხორციელდა ცვლილებები პროგრამის გარკვეულ მუხლებში, კერძოდ:

მუხლი - ერთ ბენეფიციარზე საოპერაციო (გადაუდებელი და გეგმური ოპერაციები) (გადაუდებელი ოპერაციის დროს პაციენტის საავადმყოფოდან გაწერიდან ერთ თვემდე (წარმოდგენილი ურთიერთშეთანხმების აქტი) ხოლო გეგმური ოპერაციის შემთხვევაში, ავადმყოფის საავადმყოფოდან გაწერამდე). ქიმიო, იოდო და სხივური, რადიო, ჰორმონო თერაპიის მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსების ბიუჯეტი მომართვიანობიდან გამომდინარე განისაზღვრა 160000 ლარის ოდენობით ნაცვლად 155000 ლარისა.

მუხლი - შშმ პირთა და ონკოლოგიურ და ონკოლოგიურზე საეჭვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, ბიოფსია, ჰისტოქიმიური კვლევა) დაფინანსების ბიუჯეტი მომართვიანობიდან გამომდინარე განისაზღვრა 35000 ლარის ოდენობით ნაცვლად 25000 ლარისა.

მუხლი - 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო რეაბილიტაცია, აბილიტაციას, ერთჯერადი თანხით დაფინანსების ბიუჯეტი განისაზღვრა 40 000 ლარით, ნაცვლად 30 000 ლარისა (მომართვიანობიდან გამომდინარე).

მუხლი - ომის ვეტერანების სარიტუალო მომსახურების დაფინანსების მუხლში დახმარების ოდენობა განისაზღვრა 300 ლარით ნაცვლად 250 ლარისა.

მუხლი - დევნილების სარიტუალო მომსახურების დაფინანსების მუხლში დახმარების ოდენობა განისაზღვრა 300 ლარით ნაცვლად 250 ლარისა.

მუხლი -საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად შშმ პირთა ერთჯერადი დახმარების ბიუჯეტი განისაზღვრა 1800 ლარით, ნაცვლად 1500 ლარისა (ცვლილება გამოიწვია დახმარების ოდენობის გაზრდამ 300 ლარი, ნაცვლად 250 ლარისა).

მუხლი - დახმარება ჩერნობილის კატასტროფის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეთათვის ერთჯერადი დახმარების ბიუჯეტი განისაზღვრა 3600 ლარით, ნაცვლად 3000 ლარისა (ცვლილება გამოიწვია დახმარების ოდენობის გაზრდამ 300 ლარი ნაცვლად 250 ლარისა) .

მუხლი - 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარების ბიუჯეტი განისაზღვრა 1800 ლარით, ნაცვლად 1500 ლარისა (ცვლილება გამოიწვია დახმარების ოდენობის გაზრდამ 300 ლარი ნაცვლად 250 ლარისა) .

მუხლი - აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარების ბიუჯეტი განისაზღვრა 2700 ლარის ოდენობით ნაცვლად 2250 ლარისა. (ცვლილება გამოიწვია დახმარების ოდენობის გაზრდამ 300 ლარი ნაცვლად 250 ლარისა) .

მუხლი - მრავალშვილიანი ოჯახების (4 შვილი და მეტი) ერთჯერადი დახმარების ბიუჯეტი განისაზღვრა 21000 ლარის ოდენობით ნაცვლად 20000 ლარისა. (ცვლილება გამოიწვია დახმარების ოდენობის გაზრდამ 300 ლარი ნაცვლად 250 ლარისა) .

მუხლი - არასრულწლოვან დედ-მამით ობოლთა ერთჯერადი დახმარების ბიუჯეტი განისაზღვრა 600 ლარის ოდენობით ნაცვლად 500 ლარისა. (ცვლილება გამოიწვია დახმარების ოდენობის გაზრდამ 300 ლარი ნაცვლად 250 ლარისა)

მუხლი - 100 წლის და 100 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეთა დახმარების ბიუჯეტი განისაზღვრა 7000 ლარის ოდენობით ნაცვლად 1750 ლარისა. (ცვლილება გამოიწვია დახმარების ოდენობის გაზრდამ 1000 ლარი ნაცვლად 250 ლარისა).

მუხლი - სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000 ქულას და რომელთაც ჰყავთ 1-დან 3 წლის ჩათვლით ბავშვები, ყოველკვარტალური ერთჯერადი დახმარება კვების უზრუნველსაყოფად. ბიუჯეტი განისაზღვრა 28000 ლარის ოდენობით ნაცვლად 36000 ლარისა (ცვლილება გამოიწვია ბენეფიციართა რაოდენობის შემცირებამ).

მუხლი - სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000 და რომელთაც ჰყავთ პირველ კლასში შემსვლელი ბავშვები, სასკოლო ნივთების შესაძენად დახმარების ბიუჯეტი განისაზღვრა 16500 ლარის ოდენობით ნაცვლად 15000 ლარისა (ცვლილება გამოიწვია შესაძენი ნივთების თანხის ოდენობის გაზრდამ 150 ლარი ნაცვლად 100 ლარისა) .

მუხლი - 0-18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის, რომელთაც აქვთ ყოველდღიური ჰიგიენური საშუალებების საჭიროება (პამპერსი, ერთჯერადი ჰიგიენური სალფეთქი) დახმარების ბიუჯეტი განისაზღვრა 12000 ლარით, ნაცვლად 8000 ლარისა (ცვლილება გამოიწვია დახმარების ოდენობის გაზრდამ 300 ლარი ნაცვლად 200 ლარისა).

მუხლი - 18 წელი და ზემოთ ასაკის ბენეფიციართა პერსონალური ასისტენტის მომსახურება (3+1 ბენეფიციარი) დელეგირებული განისაზღვრა 5000 ლარით ნაცვლად 44640 ლარისა. (თანხის ზრდა მოხდება ბენეფიციართა რაოდენობის ზრდის მიხედვით)

მუხლი - მარტოხელა (დაუძლურებულ ხანდაზმულთა) შინმოვლის თანადაფინანსების ბიუჯეტი განისაზღვრა 25000 ლარის ოდენობით ნაცვლად 20000 ლარისა, (ცვლილება გამოიწვია მომსახურების ხარჯების გაზრდამ).

„ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის“ ბიუჯეტი განისაზღვრა 809100 ლარით, რაც საანგარიშო წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა 35500 ლარით, პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა საჭიროების მიხედვით ბიუჯეტის ცვლილებების შესაბამისად.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2026 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

3) მერიის განმარტებით პროგრამის ქვემუხლებში, კერძოდ: ერთ ბენეფიციარზე საოპერაციო (გადაუდებელი და გეგმური ოპერაციები) (გადაუდებელი ოპერაციის დროს პაციენტის საავადმყოფოდან გაწერიდან ერთ თვემდე (წარმოდგენილი ურთიერთშეთანხმების აქტი) ხოლო გეგმური ოპერაციის შემთხვევაში, ავადმყოფის საავადმყოფოდან გაწერამდე), ქიმიო, იოდო და სხივური, რადიო, ჰორმონო თერაპიის მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსების, 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარების, შშმ პირთა და ონკოლოგიურ და ონკოლოგიურზე საეჭვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, ბიოფსია, ჰისტოქიმიური კვლევა) დაფინანსების, აუტიზმით სპექტრის მქონე ბავშვებზე წელიწადში ორჯერადად ფინანსური დახმარების და მრავალშვილიანი ოჯახების (4 შვილი და მეტი) ერთჯერადი დახმარების მუხლებში გამოყოფილი თანხები მომართვიანობიდან გამომდინარე არასაკმარისი აღმოჩნდა. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო გახდა ზემოთ აღნიშნულ მუხლების გაზრდა, გაზრდა შესაძლებელი გახდა ამავე პროგრამის ქვეპროგრამის მუხლების ეკონომიებიდან (84150 ლარი) კერძოდ, შემცირდა:

- ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრირებულ ბენეფიციართა ყოველთვიური დახმარების მუხლი - 12800 ლარით.
- 6-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების კერძოდ: დღის ცენტრის თანხის (ბინის ქირის, კომუნალური ან სატრანსპორტო ხარჯების, საჭიროების განსაზღვრით) თანადაფინანსების მუხლი 5900 ლარით.
- სიღარიბეში მყოფი ოჯახებისთვის წყლის ხარჯის ანაზღაურება ყოველთვიურად (65000 და ნაკლები ქულა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბენეფიციარის ოჯახი) დახმარების მუხლი 2000 ლარით.
- სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000 ქულას და რომელთაც ჰყავთ პირველ კლასში შემსვლელი ბავშვები, სასკოლო ნივთების შეძენის მუხლი 6000 ლარით.
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე 0-18 ბავშვები, რომლებიც სარგებლობენ სმენის აპარატით, აპარატისთვის საჭირო აქსესუარების (ყურის სასმენი აპარატების ელემენტი) მოვლა-პატრონობისთვის ერთჯერადად დახმარების მუხლი 3900 ლარით;

- 18 წელი და ზემოთ ასაკის ბენეფიციართა პერსონალური ასისტენტის მომსახურების (3+1 ბენეფიციარი) მუხლი 43000 ლარით;

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარება (პოლიციიდან ან სასამართლოდან ან „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიიდან) შემოსული ოქმის საფუძველზე, შემაკავებელო ორდერის ვადის ფარგლებში, მუხლი 5100 ლარით;

- უსახლკაროდ დარჩენილთათვის, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს და აქვთ გაკეთებული განაცხადი შესაბამის სტრუქტურებში თავშესაფარში მოთავსებამდე, ბინის ქირის გადასახადის მუხლი 550 ლარით;

- არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამის კერძოდ ძალადობის მსხვერპლი ოჯახებისთვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის თანადაფინანსება მუხლი 4900 ლარით;

აღნიშნული მუხლების შემცირების ხარჯზე გაიზარდა:

1. ერთ ბენეფიციარზე საოპერაციო (გადაუდებელი და გეგმური ოპერაციები) (გადაუდებელი ოპერაციის დროს პაციენტის საავადმყოფოდან გაწერიდან ერთ თვემდე (წარმოდგენილი ურთიერთშეთანხმების აქტი) ხოლო გეგმური ოპერაციის შემთხვევაში, ავადმყოფის საავადმყოფოდან გაწერამდე), ქიმიო, იოდო და სხივური, რადიო, ჰორმონო თერაპიის მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსების მუხლი 46 600 ლარით.

2. შშმ პირთა და ონკოლოგიურ და ონკოლოგიურზე საეჭვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, ბიოფსია, ჰისტოქიმიური კვლევა) დაფინანსების მუხლი 19 000 ლარით.

3. 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო რეაბილიტაცია-აბილიტაციის თანადაფინანსება, ერთჯერადად, გარდა შშმ პირთა რომლებიც მონაწილეობენ სახელმწიფო პროგრამაში (პროგრამის კოდი ICD-10) დახმარების მუხლი 18000 ლარით.

4. აუტიზმით სპექტრის მქონე ბავშვებზე წელიწადში ორჯერადად ფინანსური დახმარების მუხლი 300 ლარით.

5. მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), ერთჯერადი დახმარების მუხლი 250 ლარით.

ზემო აღნიშნული ცვლილებების განკარგულებაში ასახვის მიზნით მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2025 წლის მუნიციპალური პროგრამის“ დამტკიცების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N30

განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

7. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის რ. ზაქარაიას 2025 წლის 24 დეკემბრის N50-5025358134 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ოქტომბრის №483 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის ზოგადი წესი“ აყალიბებს ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისათვის საჭირო ზოგად მოთხოვნებს, მნიშვნელოვანია დადგენილებით დამტკიცებული მოთხოვნები დაცულ იქნეს მერის წარმომადგენლების

მიერ ცხოველის ადგილწარმოშობის შესახებ ცნობის გაცემისას, რისი უფლებამოსილებაც მათ „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებით აქვთ მინიჭებული. მერის წარმომადგენლის აღნიშნული უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ოქტომბრის №483 დადგენილებასთან სამართლებრივ თანხვედრაში მოყვანის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლითაც მერის წარმომადგენლის ფუნქციებში განმარტებულად ფიქსირდება ჩანაწერი მისი მხრიდან გასაცემი ადგილწარმოშობის ცნობის შესახებ. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

8. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ ბუკიას 2025 წლის 25 დეკემბრის N50-50253597 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობები განისაზღვრა - 36393,04 ათასი ლარით. გადასახდელები განისაზღვრა 43646,7 ათასი ლარის ოდენობით. ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

9. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2025 წლის 25 დეკემბრის N50-502535954 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2026 - 2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის“ თაობაზე)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო „ხობის მუნიციპალიტეტის 2026 - 2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ ბიუროს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა ქაჯაია